



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	კლასიკური ფილოლოგია Classics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	კლასიკური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Classics
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის). 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესაწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად. 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა). ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 20 ECTS კრედიტი განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	კომპეტენციები), 80 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის 10 ECTS კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს, 20 ECTS კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს.
სწავლების ენა	სწავლების ენა არის ქართული.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ირინე დარჩია
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საქართველოს მოქალაქეებისთვის: ერთიანი ეროვნული გამოცდები. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის: კანონმდებლობით დადგენილი განსხვავებული წესი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვა როგორც კლასიკურ ფილოლოგიასთან, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით, რომ მათ შეძლონ: 1. ანტიკური სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებების - როგორც ევროპული ცივილიზაციის საწყისების - გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში; 2. ანტიკური ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური) ენებიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში; 3. ანტიკური ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკის, კონცეპტუალური და სტილისტური თავისებურებების ანალიზი, ქართული თარგმანებისთვის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება; 4. სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის (მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვ.) ტექსტების რედაქტირება პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით; 5. მასმედიის სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორში საქმიანობა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი არა მხოლოდ კლასიკურ ფილოლოგიასთან, არამედ ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ცოდნის,



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით. კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ-ფილოლოგიურ განათლებას, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს როგორც ანტიკური კულტურული ღირებულებების შესწავლასა და კლასიკური ფილოლოგიის განვითარებას, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის, საქართველოს ევროპული იდენტობის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობისა და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში.
სწავლის შედეგები	პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურის საფეხურზე, სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს და ევროპული კვალიფიკაციების მეშვიდე დონის შესაბამისად, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, კლასიკურ (ძველ ბერძნულ და ლათინურ) ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, ანტიკურ (ძველ ბერძნულ და რომაულ) ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და უახლეს პრობლემატიკას, ანტიკური სამყაროს რელიგიური, მითოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მახასიათებლებს. 2. ამჟღავნებს ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, ლათინური სენტენციების ცოდნას. 3. მიმოიხილავს და აანალიზებს ანტიკური (ძველი ბერძნული და რომაული) ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს.
ბ) უნარები	4. თარგმნის კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური) ენებიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის,



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, კლასიკური ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით. 5. განსაზღვრავს და განასხვავებს ძველ ბერძნულ და რომაულ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს. 6. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს კლასიკური ენების ან ანტიკური ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. 7. კლასიკური ენების ან ანტიკური ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს. 8. კრიტიკულად აფასებს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას. 9. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს. 10. მონაწილეობს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	11. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. 12. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ექსპონატები (მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სხვ.). პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული ძეგლების მონახულებას, რომლებიც ანტიკურ სამყაროს და ქართულ-ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება (მაგალითად, ძალისა, ვანი). გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა. ტარდება ექსკურსიები ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული ფილმების, სპექტაკლების, გამოფენების სანახავად. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“. ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ის წარჩინებული სტუდენტები, რომლებსაც დამატებით სპეციალობად არჩეული აქვთ ახალი ბერძნული ფილოლოგია, კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.
შეფასების სისტემა	პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საბაკალავრო ნაშრომი, თარგმანი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) საბაკალავრო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას; ვ) სხვა სახის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას კლასიკური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასკვნითი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა შესაძლებელია განისაზღვროს არანაკლებ 30 და არაუმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან და კომპეტენციებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
დასაქმების სფეროები	კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს უცხო ენების შემსწავლელ და/ან მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.), გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში, კერძო კომპანიაში, სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრებში, ბერძნულ-ქართულ კომპანიებში, საბერძნეთის, კვიპროსისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და სხვ.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	პროგრამის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლების, კვლევისა და პროფესიული საქმიანობის გამოცდილება. კერძოდ, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას წარმართავს: პროფ. ნანა ტონია, ასოც. პროფ. იამზე გაგუა, ასოც. პროფ. რუსუდან ცანავა, ასოც. პროფ. ირინე დარჩია, ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე, ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი, ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე; მოწვეული ლექტორები: ფილოლოგიის დოქტორი ლიკა გორდენიანი, ფილოლოგიის დოქტორი თამარ ჭეიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი უგულავა, ფილოლოგიის მაგისტრი დაჩი ფაჩულია, ენების ცენტრის მასწავლებელი ქეთევან აბესაძე
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ-ს ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და განვითარებას. გარდა ამისა, დაფუძნებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარების ფონდი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში საბერძნეთის საელჩოს, საბერძნეთის უწყვეტი განათლების, რელიგიურ საქმეთა და მეცნიერების სამინისტროს, საბერძნეთის საგარეო და კულტურის, კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამინისტროების, სხვადასხვა ბერძნული ფონდებისა და ორგანიზაციების დახმარებით. აღნიშნული ფონდის მხარდაჭერით ინსტიტუტთან არსებული საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებითა და ლექსიკონებით, რომლებსაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ამზადებს.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	---



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები:

N	ცვლილება	ცვლილების საფუძველი
1	განახლდა კლასიკური ენების სწავლების მეთოდოლოგია. მეტი ყურადღება ეთმობა კლასიკური ენების სწავლების „ცოცხალი ენებისთვის“ დამახასიათებელი მეთოდებით და, შესაბამისად, პროგრამას დაემატა შესაბამისი მიზანდასახულობის სასწავლო კურსი.	2021 წლის თებერვალში ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ იქნა საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია 21-ე საუკუნეში კლასიკური ენების სწავლების შესახებ, ასევე ჩატარდა მრგვალი მაგიდა და კონფერენციის ფარგლებში მიღებული გამოცდილება აისახა სწავლების მეთოდოლოგიასა და სილაბუსებში.
2	შეიცვალა ლათინური ენის სახელმძღვანელო.	მოქმედი პროგრამა შეფასდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ. სამუშაო შეხვედრებისა და განხილვების დროს ლექტორებმა, ხოლო ფოკუს ჯგუფში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლათინური ენის სახელმძღვანელო მოძველებულია მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისით.
3	შემცირდა ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი საკითხებისა და მასალის მოცულობა. სასწავლო კურსების შინაარსი გახდა უფრო რეალისტური.	მოქმედი პროგრამა შეფასდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ. სამუშაო შეხვედრებისა და განხილვების დროს ლექტორებმა, ხოლო ფოკუს ჯგუფში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სილაბუსებში მოცემული მასალა იყო არარეალისტური და არ შეესაბამებოდა სტუდენტების იმ დატვირთვას, რაც



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

		განსაზღვრული იყო სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტებით.
4	შეიცვალა სწავლის შედეგების ფორმირების პრინციპები და კონცეფცია.	2019 წელს დამტკიცდა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, ხოლო 2021 წელს - ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი. გარდა ამისა, პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებულ იქნა ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ეგიდით მომზადებული დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც დამტკიცდა 2022 წლის მარტში.
5	პროგრამა გადიდრდა ელექტრონული სასწავლო რესურსებით და მომზადდა ელექტრონული სასწავლო კურსები.	კოვიდ 19 პანდემიის პირობებში განხორციელებული ელექტრონული სწავლების პროცესი.
6	განახლდა სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალები.	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სხვადასხვა სახის პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები, თარგმანები, ლექსიკონები და სხვ.), თსუ-ს ბიბლიოთეკის მიერ შეძენილი უახლესი ლიტერატურა და სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, პანდემიის გამო გაზრდილი ღია წვდომა უახლეს უცხოენოვან ლიტერატურაზე.
7	სასწავლო კურსებში გაიზარდა რომაული ლიტერატურისა და კულტურისთვის განსაზღვრული საათები.	ფოკუსს ჯგუფში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაში არასაკმარისი დრო ეთმობოდა რომაული ლიტერატურისა და კულტურის სწავლებას.
8	ცალკეულ სასწავლო კურსში შეიცვალა შუალედური გამოცდების რაოდენობა (ორის მაგივრად გახდა ერთი).	პროგრამის განმახორციელებელმა ლექტორებმა შეაჯამეს განვლილი წლები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მეორე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

		შუალედური გამოცდა ნაკლებ ეფექტიანია და სტუდენტის მიერ შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უმჯობესია განხორციელდეს არა შუალედური გამოცდით, არამედ შეფასების სხვა მეთოდებით; ანალოგიური იყო პროგრამის კოლეგიალური შეფასების ფარგლებში მიღებული რჩევაც.
9	შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება.	2019 წელს დამტკიცდა განახლებული კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო და კლასიფიკატორი, რის გამოც საჭირო გახდა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების ცვლილება.
10	გაიზარდა სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვარი.	ცვლილება განაპირობა თსუ-ს პროგრამების გარე შეფასების ფარგლებში მიღებულმა რეკომენდაციამ.